საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/62

ქ. ბათუმი **08 სექტემბერი, 2017 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის სექტემბერში აკადემიური პერსონალის (80 ვაკანტურ თანამდებობაზე) შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად მოწვეული (დამტკიცებული) საპროცედურო/საკონკურსო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების (დანამატის) განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N 01-08/58 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის სექტემბერში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N02-03/142 ბრძანების და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 6 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის სექტემბერში აკადემიური პერსონალის **(80 ვაკანტურ თანამდებობაზე)** შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად მოწვეული (დამტკიცებული) საპროცედურო/საკონკურსო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურება (დანამატი) განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

1.1. საკონკურსო კომისიის თითოეული წევრისათვის (2017 წლის 9 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით - 3 სამუშაო დღე, მათ შორის არასამუშაო დღეებში/საათებში):

ა) ბსუ-ს პერსონალის წარმომადგენლებისათვის - 500 ლარი;

ბ) სხვა დაწესებულებიდან მოწვეული პრებისათვის - 700 ლარი;

გ) კომისიის თავმჯდომარისათვის/მდივნისათვის - 600 ლარი, მათ შორის სხვა დაწესებულებიდან მოწვეული პირებისათვის - 800 ლარი.

1.2. **საპროცედურო კომისიის თითოეული წევრისათვის** (<u>საბუთების მიღება</u> 2017 წლის 7 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით - 3 სამუშაო დღე და <u>სააპელაციო საჩივრების მიღება</u> 2017 წლის 11 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით - 4 სამუშაო დღე, სულ 7 სამუშაო დღე, მათ შორის არასამუშაო დღეს/საათებში) - **300 ლარი;**

1.3. სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის თითოეული წევრისათვის 2017 წლის 5 სექტემბრიდან 2017 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით მუშაობისათვის (11 სამუშაო დღე, მათ შორის არასამუშაო დღეებში/საათებში):

ა) ზვიად ბერაძეს - 400 ლარი;

ბ) ხათუნა ხალვაშს - 400 ლარი;

გ) ჟანა ჯიბლაძეს - 400 ლარი;

დ) გიორგი დიასამიძეს -400 ლარი.

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებაში მითითებული შრომის ანაზღაურებისა და კომისიების შექმნის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სხვა დაწესებულებიდან მოწვეულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.
3. ეთხოვოს საპროცედურო/საკონკურსო კომისიებისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის ხელმძღვანელს, შესაბამისი კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა, შრომის ანაზღაურების (ბსუ-ს პერსონალისათვის დანამატის) გაცემის მიზნით.
4. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებს და
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**